საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/45 „ 17 " მაისი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, ფოთის საქალაქო სასამართლოს თხოვნის საფუძველზე, წერილობით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა თანხმობის მიცემა აღნიშნული სასამართლოს შენობა-ნაგებობის სარეკონსტრუქციო/სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე.

როგორც ფოთის საქალაქო სასამართლოს წერილშია აღნიშნული, სასამართლოს ფასადი, რომელიც მოპირკეთებულია ალუკობონდის ფილებით, დაზიანებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 1 მაისის №002907619 დასკვნის შესაბამისად, ალუკობონდით მოპირკეთებული ფასადის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, მისი შემდგომი ფუნქციონირება საფრთხის შემცველია და საჭიროებს გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმაციით, პრაქტიკიდან და ადგილობრივი კლიმატის თავისებურებებიდან გამომდინარე, აუცილებელია ფასადი მოპირკეთდეს სინესტის ზემოქმედების მიმართ უფრო მედეგი მასალით, ამასთან, სასამართლოს სურვილია, რეაბილიტაციის პროცესში აღდგეს სასამართლოს ფასადის პირვანდელი მდგომარეობა, ასევე განხორციელდეს სასამართლოს შიდა ფოიეს და დერეფნის კოსმეტიკური რემონტი და სასამართლოს თავმჯდომარისა და მენეჯერის სამუშაო სივრცეების რეაბილიტაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის" მე-3 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ფოთის საქალაქო სასამართლოს სარეკონსტრუქციო/სარემონტო სამუშაოები.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი